ხელშეკრულება №126
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქობულეთი

03 ივლისი 2013 წელი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი და სალიკვიდაციო კომისიის 2013 წლის 25 ივნისის №4 საოქმო გადაწყვეტილების და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 03 ივლისის №01-19/432 ბრძანების თანახმად, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთის მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ელგუჯა ბაგრატიონის სახით და მეორეს მხრივ, შპს „დინამიტი ლ.დ." (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ბოლქვაძის სახით, ვდებთ ხელშეკრულებას „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდებას.
1.6. „სამუშაო" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში ქვათაცვენის საწინააღმდეგო სამუშაოების მიზნით, ასაფეთქებელი სამუშაოების შესყიდვა (CPV 45111211 - ასაფეთქებელი სამუშაოები).
2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ზუსტი დასახელება, ერთეულის ღირებულება და მთლიანი ღირებულება, მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართულ ხარჯთაღრიცხვაში, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2012 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 2068 (ორიათას სამოცდარვა) ლარს (ქობულეთის მუნიციპალიტეტი, 27 ივნისი 2013 წელი ბრძანება 01-06/374).
4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. მომსახურეობის გაწევის წესი და ადგილი

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია საქართველო, ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩაისუბანი.
5.2. სამუშაოების შესრულება ხდება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესის და შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.
5.3. სამუშაოები მიმწოდებელმა უნდა შეასრულოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტში მითითებული სამუშაოების შესრულება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
6.2. თუკი ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გამოასწოროს ეს ნაკლი.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. შემსყიდველი ვალდებულია სამუშაოების სრულყოფილად შესრულების შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
6.6. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოების მოცულობების შესაბამისად, ფორმა №2, ფორმა №3, მიღება–ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
7.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
7.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
7.5. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

8. ხელშეკრულების ინსპექტირება

8.1 შემსყიდველი მისი წარმომადგენლების მეშვეობით ახდენს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას.
8.2 მიმწოდებლის მიერ შესასრულებელ, ან უკვე შესრულებულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ.
8.3 მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით.
8.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.5 შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.
8.6 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.
8.7 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შექმნილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი.

9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1 შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის - ფორმა N2-ს და ფორმა N3-ს, ასევე „შემსყიდველის" მხრიდან კონტროლის (ინსპექტირების) ჯგუფის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
9.2 შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა N2) შემდგომ, აღმოჩენილი დეფექტებისა ან/და ხარვეზების გამოსწორებისათვის „მიმწოდებელს" განესაზღვრება გონივრული ვადა.
9.3 მითითებული დეფექტებისა ან/და ხარვეზების გამოსწორება „მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4 მხარე ვალდებულია 5.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით
11.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის

გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, სამარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებებისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

15. გარანტია

15.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში, უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანას, საცხოვრებელი სახლების დაზიანების შემთხვევაში ზარალის ანაზღაურებას, ინსტრუქტაჟის ჩატარებას უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე და სამუშაოების შესრულებას შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.
7.2. ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაოები ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

16. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ოთხი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

18.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
18.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE56LB0120113125552000**, საიდენტიფიკაციო კოდი **247001890**;
18.3 „შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

19. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

19.1 „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი: ხელვაჩაური, სოფ. აჭარისწყალი;
19.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი **BAGAGE22**, ა/ა **GE63BG0000000126199101**, საიდენტიფიკაციო კოდი **245441151**;
19.3 „შემსყიდველი" – შპს „დინამიტი ლ.დ."

„შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ელგუჯა ბაგრატიონი

„მიმწოდებელი"– შპს „დინამიტი ლ.დ."

დირექტორი ლევან ბოლქვაძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში ქვათაცვენის საწინააღმდეგო სამუშაოების მიზნით, ასაფეთქებელი სამუშაოების
ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	ქვის მასის ბურღვა და აფეთქება მასზე ზედამხედველობა	$მ^3$	18	49,62	893
2	საცხოვრებელი სახლების უსაფრთხოების მიზნით საავტომობილო გზის გასწვრივ ფხვიერი მასით შევსებული ტომრების მოწყობა	ცალი	200	3	600
3	საბურღი მექანიზაციის ტრანსპორტირება (დიზელი)	ლიტრი	60	2,08	125
6	ფეთქებადი ნივთიერების პოლიციელთა დაცვა, გაცილება	ცალი	1	450	450
	ჯამი				2068

შპს „დინამიტი ლ.დ.“

დირექტორი ლევან ბოლქვაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

6200 ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141 ტელ: 0426-26-72-09

27 ივნისი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01-06/374

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ვიზუალური საინჟინრო გეოლოგიური დასკვისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი და სალიკვიდაციო კომისიის 2013 წლის 25 ივნისის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნას 2068 (ორი ათას სამოცდარვა) ლარი ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში ქვათაცვენის სამუშაოების ჩატარების მიზნით.
2. თანხის ჩარიცხვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურმა განახორციელოს შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე.
3. კონტროლი ბრძანებით გამოყოფილი მიზნობრივ გამოყენებაზე განახორციელოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა (დალი გირითილაძე).
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ბათუმი ზუბალაშვილის ქუჩა №30).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამგებელი: თენგიზ ზოიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01-19/432

2013 წლის 3 ივლისი
ქ.ქობულეთი

გამარტივებული წესით შესყიდვის პროცედურების დაწყების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის, მე–3 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 3 ივლისის №01-14/937 მომართვის შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სოფელ ჩაისუბანში ქვათაცვენის საწინააღმდეგო სამუშაოების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის წესით.

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხელშეკრულება გააფორმოს 2068 (ორიათას სამოცდარვა ლარი) ლარის ფარგლებში, მხოლოდ იმ მომწოდებელთან, რომელსაც გააჩნია აღნიშნული სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

3.ანგარიში ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, განხორციელებული პროცედურების შესახებ, თანდართული დოკუმენტაციით, წარადგინოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე.

4.ქობულეთის მუნიციპალიტეტის იურიდიულმა სამსახურმა, შესყიდვის განხორციელების შემდეგ, დაუყოვნებლივ აცნობოს განხორციელებული შესყიდვის შესახებ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

6.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ე. ბაგრატიონი

ასლის
დამოწმება

შეთანხმება

2013 წლის 03 ივლისის №126 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. ქობულეთი

„29“ ივლისი 2013 წელი

ერთის მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ელგუჯა ბაგრატიონის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, მხრივ შპს „დინამიტი ლ.დ.“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ბოლქვაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), შევთანხმდით შემდეგზე:

1. შპს „დინამიტი ლ.დ.“-ს 2013 წლის 24 ივლისის №13 წერილის (შემოს. №01-10/2351, 24.07.2013) და 2013 წლის 03 ივლისს ერთის მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და მეორეს მხრივ, შპს „დინამიტი ლ.დ.“-ს შორის გაფორმებული №126 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-10 მუხლის „10.1“ პუნქტის შესაბამისად, შევიდეს ცვლილება ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის სახით.

2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც მთლიანად ხელშეკრულების მიმართ.

3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 5 (ხუთი) ეგზემპლარად და წარმოადგენს 2013 წლის 03 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №126 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რაზედაც ხელს ვაწერთ.

4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე შეთანხმება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	შპს „დინამიტი ლ.დ.“
საიდენტიფიკაციო კოდი 247001890	საიდენტიფიკაციო კოდი:245441151
საკრებულოს თავმჯდომარე	დირექტორი
ელგუჯა ბაგრატიონი	ლევან ბოლქვაძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში ქვათაცვენის საწინააღმდეგო სამუშაოების მიზნით, ასაფეთქებელი სამუშაოების
ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	ქვის მასის ბურღვა და აფეთქება მასზე ზედამხედველობა	$მ^3$	18	42,08	757
2	საცხოვრებელი სახლების უსაფრთხოების მიზნით საავტომობილო გზის გასწვრივ ფხვიერი მასით შევსებული ტომრების მოწყობა	ცალი	200	2,54	508
3	საბურღი მექანიზაციის ტრანსპორტირება (დიზელი)	ლიტრი	60	1,76	106
4	ფეთქებადი ნივთიერების პოლიციელთა დაცვა, გაცილება	ცალი	1	381,5	382
5	ჯამი	ლარი			1753
6	დღგ 18%	ლარი			315
7	სულ ჯამი	ლარი			2068

შპს „დინამიტი ლ.დ.“

დირექტორი ლევან ბოლქვაძე